

საქართველოს კანონი

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №30, 27.07.2006, მუხ. 235) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფასა და დაფინანსებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (პირი) ან სახელმწიფო – სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი გამოსაკვლევი პირის ბადრაჟირებას და საექსპერტო დაწესებულებაში მის დაცვას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი